MES 0 22 0000843079

26/07/2022

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 12.07.2022
სხდომის დაწყების დრო: 14:05 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:30სთ
საბჭოს თავმჯდომარე: გოდერძი ბუჩაშვილი
საბჭოს მდივანი: დავით ტეფნაძე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. გოდერძი ბუჩაშვილი - შპს „საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ერეკლე ასტახიშვილი - შპს „თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის" პროფესორი, სსიპ - შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის მოადგილე;
3. ირინა გველესიანი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
4. ხათუნა თოდაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი;

5. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
6. ირინა ლობჟანიძე - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
7. თეა მჭედლური - სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
8. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს „ევროპის უნივერსიტეტის“ ასოცირებული პროფესორი;
9. თამარ სირაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;
10. დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი);
11. ეკატერინე შაკიაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი;
12. დავით ჩოჩიშვილი - სსიპ - გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
13. ნინო ჭალაგანიძე - შპს „კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის“ მულტიმედია ცენტრის ხელმძღვანელი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი;
14. გურანდა ჭელიძე - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ პროფესორი.

სხდომაზე დამსწრე პირები

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	**ლალი ოდიშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	**სოფიკო ქურასბედიანი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	**გვანცა ძიძიგური**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი
4	**ნინო გულიაშვილი**	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	ლელა მასხულია	სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანი, „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო	I, II, III

			საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	
2	მარინე მათოაშვილი		„ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**I, II, III**
3	ირმა მანჯავიძე		„პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**I, II, III**
4	ზეინაბ სოფრომაძე		„პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	**I, II, III**
5	ნუგზარ სხირტლაძე	შპს კავკასიის უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში	**IV, V, VI**
6	დიანა მჭედლიშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი	**IV, V, VI**
7	სოფიო შენგელია		სამართლის სკოლის დეკანი	**IV, V, VI**
8	ეკატერინე ქარდავა		პროგრამის ხელმძღვანელი	**IV, V, VI**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაცია ,ელექტრო ნულისაშუალებითმონა წილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	ქეთევან ბერიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
2	ელისო მურვანიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	I, II, III
3	გიორგი მახარობლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI
4	მალხაზ ნაკაშიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV, V, VI

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ გოდერძი ბუჩაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე

მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 14:05 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
2. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
3. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
4. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
5. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
6. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

· კი

შუამდგომლობა დააყენა ცენტრის წარმომადგენელმა, მან საბჭოსთან იშუამდგომლა რამდენიმე გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომების გასწორების თაობაზე, ასევე გააცნო შპს ალტე უნივერსიტეტის მომართვა, რომლითაც დაწესებულება ითხოვდა საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებას .

დამტკიცებული დღის წესრიგი

1. შპს ალტე უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხის განხილვა;
2. სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 06 აგვისტოს N776809 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შეცდომის გასწორება;
3. სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 25 ივნისის N632912 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება;
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2022 წლის 14 იანვრის N22316 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება;

5. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორება (შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით);
6. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
7. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
8. სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
9. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
10. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;
11. შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

პირველი საკითხი: *შპს ალტე უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხის განხილვა;*

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შპს ალტე უნივერსიტეტი ახორციელებდა ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას, რომელსაც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 26 ნოემბრის №205 გადაწყვეტილებით მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში (შემდგომში - ცენტრი) 2022 წლის 01 ივლისს შემოვიდა შპს ალტე უნივერსიტეტის N 746587 წერილი, რომლითაც დაწესებულება იუწყება, რომ სურს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება და ითხოვს შუამდგომლობას საგანამანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოსთან, რათა პროგრამას გაუუქმდეს აკრედიტაცია. ასევე, მან აღნიშნა რომ პროგრამა სასწავლო პროცესს ასრულებს 15 ივლისს და დაწესებულება ითხოვს აკრედიტაციის გაუქმების შესახებ გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს 2022 წლის პირველი აგვისტოდან, რათა დაწესებულებამ მოასწროს ადმინისტრაციული საკითხების მოგვარება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:20
დასრულების დრო: 15:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამისთვის აკრედიტაციის გაუქმების საკითხი
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე

მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ (შემდგომში - აკრედიტაციის დებულების) 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, 27^5 მუხლის 3^2 პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილდეს შპს ალტე უნივერსიტეტის შუამდგომლობა და „ქართულ ენაში მომზადების“ საგანმანათლებლო პროგრამას გაუუქმდეს აკრედიტაცია 2022 წლის 01 აგვისტოდან;

შპს ალტე უნივერსიტეტის შუამდგომლობისა და დაწესებულებაში კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების ინტერესების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის უწყვეტობის მიზნით, სტუდენტებს მიეცეთ შესაძლებლობა მიმდინარე სასწავლო სემესტრი 2022 წლის 12 ივლისიდან 2022 წლის 1 აგვისტომდე დაასრულონ შპს ალტე უნივერსიტეტში.

მეორე საკითხი: *სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 06 აგვისტოს N776809გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შეცდომის გასწორება;*

თვითაცილება განაცხადა თამარ სირაძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომსსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 06 აგვისტოს N776809 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შეცდომის გამო არასწორადაა მითითებული პროგრამის კვალიფიკაციის დასახელება, კერძოდ ნაცვლად გეოგრაფიის (ფიზიკური) მაგისტრი, უნდა ეწეროს - გეოგრაფიის მაგისტრი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 15:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 06 აგვისტოს N776809 გადაწყვეტილების დანართში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბჭომ გადაწყვიტა „სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი “ფიზიკური გეოგრაფიისა და გარემოს მდგრადი განვითარების“

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 06 აგვისტოს N776809 გადაწყვეტილების N1 დანართის მე - 9 პუნქტში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და კვალიფიკაციის დასახელებად განისაზღვროს - გეოგრაფიის მაგისტრი;

მესამე საკითხი: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 25 ივნისისN632912 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება;

თვითაცილება განაცხადა ირინა ლობჟანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 25 ივნისისN632912 გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა რამდენიმე ტექნიკური შეცდომა, რომელიც ეხება პროგრამისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელებებს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:00
დასრულების დრო: 16:10

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „თანამედროვე მათემატიკის ძირითადი პარადიგმების და გამოყენებების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2021 წლის 25 ივნისისN632912 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი.
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის"თანამედროვემათემატიკისძირითადიპარადიგმებისდაგამოყენებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაკრედიტაციისშესახებ“ 2021 წლის 25 ივნისის N632912 გადაწყვეტილებაში შევიდეს ტექნიკური ხასიათის ცვლილებები და გადაწყვეტილების მე - 2 ნაწილის მე - 2 და მე - 3 ნაწილის მე - 2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

გადაწყვეტილების 2.2 პუნქტი:
„2.2. ცენტრის დირექტორის 2020 წლის 30 ნოემბრის №1138794 ბრძანების საფუძველზე, სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცნობილ იქნა აკრედიტაციის მაძიებლად. ცენტრის დირექტორის 2021 წლის თებერვლის № 123305 ბრძანებით შეიქმნა ექსპერტთა ჯგუფი, რომელმაც 2021 წლის 22-23 მარტს განახორციელა სააკრედიტაციო ვიზიტი სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, ხოლო 2021 წლის 25 მაისს წარმოადგინა აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნა, რომლის შესაბამისად, სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამა შეფასდა შემდეგნაირად“

გადაწყვეტილების 3.2 პუნქტი

„2. ცნობილ იქნას აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა "თანამედროვემათემატიკისძირითადიპარადიგმებისდაგამოყენებების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად (დანართი №2)“

მეოთხე საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციისშესახებ 2022 წლის 14 იანვრის N22316 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება;

თვითაცილება განაცხადეს ირინა გველესიანმა და ნინო ჭალაგანიძემ
საფუძველი - შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2022 წლის 14 იანვრის N22316 გადაწყვეტილებაში დაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა, რომელიც უკავშირდება პროგრამის დასახელებას.
სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:20
დასრულების დრო: 16:30

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ 2022 წლის 14 იანვრის N22316 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მედიის კვლევების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შესახებ“ 2022 წლის 14 იანვრის N22316 გადაწყვეტილებაში შევიდეს ტექნიკური ხასიათის ცვლილება და გადაწყვეტილების მე - 4 ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით - „1. დაკმაყოფილდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააკრედიტაციო განაცხადი და დანართი №1-ით გათვალისწინებულ "მედიის კვლევების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია 7 წლის ვადით, 6 თვეში რეკომენდაციების შესრულების თაობაზე ანგარიშის წარმოდგენით.“

მეხუთე საკითხი: საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორება (შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით);

ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმშიდაფიქსირდა ტექნიკური შეცდომა, რომელიც უკავშირდება (შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ფორმულირებას.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:40
დასრულების დრო: 16:50

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: საგანმანათლებლოპროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმში ტექნიკური შეცდომის გასწორების საკითხი
კენჭისყრისშედეგი:
მომხრე - 14
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაფიქსირებული გარემოებებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 07 დეკემბრის N58 სხდომის ოქმის 01 ნაწილში გასწორდეს ტექნიკური შეცდომა და შპს ბათუმის ნავიგაციის სასწავლო უნივერსიტეტის „საზღვაო ნავიგაციის“ საბაკალავრო პროგრამის კვალიფიკაციის დასახელებად მიეთითოს - საზღვაო მეცნიერების ბაკალავრი;

მეექვსე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 21 ნოემბრის N212 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11		

	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	0906, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, ვაჟა - ფშაველას გამზირი N33

მეშვიდე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2020 წლის 17 აგვისტოს N698236 გადაწყვეტილებით.
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	0906, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
13	სწავლების ენა	ინგლისური
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, ვაჟა - ფშაველას გამზირი N33

მერვე საკითხი: სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	პედიატრიული რეაბილიტაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 03 დეკემბრის N227გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	პედიატრიული რეაბილიტაცია
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0915 თერაპია და რეაბილიტაცია
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	0906, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0186, ვაჟა - ფშაველას გამზირი N33

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ
თვითაცილება განაცხადა - ხათუნა თოდაძემ.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ვინაიდან სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო, „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო და „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა ერთი და იგივე ექსპერტთა ჯგუფის მიერ, საბჭომ გადაწყვიტა სამივე საკითხი განეხილათ ერთი შესვენების ფარგლებში.

მეექვსე საკითხის ზეპირი მოსმენა

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბერიძემ, განაცხადა, რომ სსიპ - „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ მოწოდებული იქნა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში დადგენის მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს, დოკუმენტაციის შესწავლის პროცესში ერთმანეთთან ჰქონდათ ელექტრონული კომუნიკაცია. მოწოდებული მასალების ანალიზის შედეგად შემუშავდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტი და შემდგომ დასკვნა. განსახილველი პროგრამა აკრედიტებულია, მასში განხორციელდა ცვლილებები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს (1 კრედიტი 30სთ), აქედან ძირითადი სავალდებულო სასწავლო კურსები/საგნები 224 ECTS კრედიტი, სავალდებულო არჩევითი სასწავლო კურსები/საგნები - 16 ECTS კრედიტი; ხანგრძლივობა შეადგენს 4 წელს - 8 სემესტრი. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა სასწავლო კურსების შესწავლის პროცესში ითვალისწინებს მათ მემკვიდრეობითობას და ეტაპების გადალახვას, რაც გულისხმობს დავალიანებული საგნის განმეორებითი შესწავლის შესაძლებლობას მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ეტაპის დასრულებამდე. საგანმანათლებლო პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ ეროვნული კლასიფიკატორის ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა და შესაბამისობაში მოვიდა ახალ სტანდარტთან. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, სწავლის შედეგები გადაჯგუფდა და აღიწერა ელემენტების „ცოდნა და გაცნობიერება“, „უნარი“ და „პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა“ შესაბამისად. საგანმანათლებლო (ქართულენოვანი) პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამა ეყრდნობა რეაბილიტაციის სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე სტანდარტებს. პროგრამის და თანდართული დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე შეფასდა პროგრამის რიგი სტანდარტები.

პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა შეფასდა შემდეგნაირად:

- **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა** - მოცემული სტანდარტი შეფასდა შესაბამისობით აკრედიტაციის სტანდარტთან. პროგრამის მიზანი ნათლადაა ჩამოყალიბებული, რეალისტური და მიღწევადია, ასახავს თუ რა უნარებისა და კომპეტენციის კურსდამთავრებულის მომზადებაზეა ორიენტირებული და

სრულად შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიებს. ითვალისწინებს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს. დეტალურადაა გაწერილი პროგრამის შედეგების შეფასება - კომპეტენციები. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, შედეგების შეფასება ხდება მიმდევრულად, გამჭვირვალედ. სწავლის შედეგების შეფასების სიტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ მეთოდებს, რომლებიც იძლევიან სტუდენტის მიერ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის დადგენის საშუალებას. პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მეთოდები. პროგრამას აქვს სამიზნე ნიშნულები სწავლის თითოეული შედეგისათვის.

· **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** - შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტთან. სასწავლო კურსები პასუხობენ პროგრამაში გაწერილ მიზნებს, რაც მნიშვნელოვანია პროგრამის განხორციელების პროცესში. საბაკალავრო სასწავლო პროგრამის „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არ შეცვლილა. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების პირობები და პროცედურები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას, საჯარო და ხელმისაწვდომია. საბაკალავრო სასწავლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი არ შეცვლილა. საბაკალავრო სასწავლო პროგრამა „ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია“ შედგენილია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერისტეტში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურა სასწავლო კურსების შესწავლის პროცესში ითვალისწინებს მათ მემკვიდრეობითობას და ეტაპების (ორი ეტაპი: მე-4 სემესტრის და მე-6 სემესტრის შემდეგ) გადალახვას, რაც გულისხმობს დავალიანებული საგნის განმეორებითი შესწავლის შესაძლებლობას მხოლოდ პროგრამით გათვალისწინებული ეტაპის დასრულებამდე. საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, თანმიმდევრულობისა და საფეხურებრივი გაღრმავების და განმტკიცების, ზოგადი კურსებიდან სპეციალურისკენ თანმიმდევრული გადასვლის პრინციპით. პროგრამის სასწავლო კურსები ერთობლივად უზრუნველყოფენ საჭირო სწავლის შედეგების მიღწევას და სათანადო კომპეტენციების გამომუშავებას. შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის სასწავლო კურსი არ შეცვლილა. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება მოცემული კურსის სწავლის შედეგს და კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს და უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. თითოეული სასწავლო კურსისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შეესაბამება კურსის შინაარს და სწავლის შედეგებს, ხოლო საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლა-სწავლების მეთოდები შესაბამისობაშია კურსების შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. სილაბუსებში მითითებული ძირითადი (სავალდებულო) და დამხმარე ლიტერატურა და სხვა მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს, ასევე დარგის აქტუალურ მიღწევებს და ითვალისწინებს დარგში უახლეს კვლევებს. სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა ქართულენოვანია. დამხმარე ლიტერატურაში ქართულენოვანთან ერთად მითითებულია უცხოენოვანი (ძირითადად ინგლისურენოვანი) უახლესი ლიტერატურა. სწავლის პროცესში გამოიყენება უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლების მიერ შესაბამის დისციპლინაში შემუშავებული რიდერები/ჰენდაუთები.

აღნიშნულ სტანდარტში ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რჩევები:
1. სასწავლო კურსი ,,შესავალი ოკუპაციურ თერაპიაში“ წარმოდგენილია არჩევით ნაწილში, რაც არ უშლის ხელს პროგრამის შედეგების მიღწევას, მაგრამ სასურველია გადატანა სავალდებულო ნაწილში, ვინაიდან რეაბილიტოლოგებისათვის მნიშვნელოვანია ოკუპაციური თერაპიის მიდგომების ცოდნა;
2. სასწავლო კურსის „ადაპტური ფიზიკური აღზრდა“ შინაარსი იძლევა მიზნის მიღწევის საშუალებას, მაგრამ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ფიზიკური განათლების გაკვეთილებში ეფექტური ჩართვისათვის სასურველია სტუდენტს შესწავლილი ჰქონდეს „ფიზიკური აღზრდის თეორია და მეთოდიკა“.
ექსპერტის თქმით, პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარების თვალსაზრისით ცვლილებები არ მომხდარა. პროგრამა სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას. ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის პრაქტიკული უნარების გამომუშავებას და პრაქტიკული უნარების განმავითარებელ პროექტებში ჩართვას. პროგრამის ძირითადი კურსების უმეტესობა შეიცავს ე.წ. ჩაშენებულ პრაქტიკას, ასევე ითვალისწინებს მცირე კვლევითი უნარების განმავითარებელ კომპონენტს - რეფერატი, პრეზენტაცია, კლინიკური შემთხვევის დამუშავებას კვლევის მეთოდებისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის შედეგის გამოყენებით. მე-7 და მე-8 სემესტრებში ყველა ძირითადი კურსის ფარგლებში ხორციელდება კლინიკური პრაქტიკა. კლინიკური პრაქტიკის კომპონენტები დაგეგმილია და ხორციელდება თანმიმდევრულად. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს საშუალება აქვთ მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში და ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. პრაქტიკული კომპონენტი დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკის გავლის პერიოდში სტუდენტს ხელმძღვანელობას უწევს დარგის კვალიფიციური პირი, რომელიც აფასებს სტუდენტის საქმიანობას. დამსაქმებელთან, პროფილურ ასოციაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები/მემორანდუმები ითვალისწინებს პრაქტიკის მიზანს და ხანგრძლივობას. პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის სწავლება-სწავლის მეთოდები არ შეცვლილა. თითოეული სასწავლო კურსის სწავლა-სწავლების მეთოდები ორიენტირებულია სტუდენტზე, სრულ შესაბამისობაშია სწავლების საბაკალავრო საფეხურთან და უზრუნველყოფენ, როგორც ცალკეული სასწავლო კურსის, ისე მთლიანად პროგრამის მიზნების მიღწევადობას. პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, პროგრამის შეფასების სიტემა არ შეცვლილა. პროგრამის ფარგლებში სტუდენტის შეფასება ხდება სასწავლო სილაბუსის ფარგლებში. შეფასება აღწერილია როგორც პროგრამაში, ისევე თითოეულ სილაბუსში, არის გამჭვირვალე და შეესაბამება სწავლა-სწავლების მეთოდებს. შეფასება ითვალისწინებს სასწავლო კურსების სპეციფიკას, მოიცავს აკადემიურ აქტივობას, კლინიკური შემთხვევების განხილვას და ა.შ.
· **სწავლების ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფა** - პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და მოწვეული მასწავლებლები პროგრამის განხორციელებისთვის გამოიყენება თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სიმულაციური კლასები, საუნივერსიტეტო ბაზები და შესაბამისი პროფილის აფილირებული კლინიკები. პროგრამის შესაბამისობაში მოყვანის პროცესში პერსონალის განახლება და/ან პერსონალის პროფესიული განვითარება არ განხორციელებულა. პროგრამას ახორციელებს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია. პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და

მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევით/შემოქმედებით საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დეკანმა, ლელა მასხულიამ, განაცხადა, რომ დაწესებულებისთვის ღირებულია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები, დაგემილია ორივე რჩევის გათვალისწინება, მათ განიხილეს მეორე რჩევა და მეოთხე სემესტრში შეიტანეს სასწავლო კურსი „ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია“. პირველი რჩევასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ შესახებ, განმარტა, რომ დაწესებულება რჩევას აუცილებლად გაითვალისწინებს, როგორც კი ამის შესაძლებლობა მიეცემათ. მან აღნიშნა, რომ ზოგადად არსებობს ოკუპაციური თერაპევტების მწვავე დეფიციტი, სულ 57 ოკუპაციური თერაპევტი არსებობს ქვეყანაში, რომლებიც აწარმოებენ კლინიკურ პრაქტიკას და ძალიან ცოტას აქვს სურვილი ასწავლოს. დაწესებულება მრავალი წელია კონკრეტულ ოკუპაციურ თერაპევტთან თანამშრომლობს, რომელიც ახორციელებს აღნიშნულ კურსს, არჩევითი კურსის სახით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ძალიან ბევრ სასწავლო კურსში, სადაც ჩაშენებულია კლინიკური პრაქტიკა სტუდენტები ინტერდისციპლინური გუნდის ფარგლებში მუშაობენ და ითვისებენ პრაქტიკას ოკუპაციური თერაპევტების ჩართვით, რომლებიც მოღვაწეობენ კლინიკურ ბაზაზე, რაც ძალიან ეხმარება დაწესებულებას აღნიშნული ურთიერთობის/კომუნიკაციის დამყარებაში, თუმცა პროგრამის განვითარებასთან ერთად გეგმავენ აღნიშნული კურსის გადატანას არჩევითიდან ძირითად კომპონენტში.

საბჭო გადავიდა მეშვიდე საკითხის განხილვაზე („ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა).

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბერიძემ, განაცხადა, რომ აღნიშნულ პროგრამაზე გაცემულია იგივე რჩევები, რაც გაცემული იყო ქართულენოვან პროგრამაში, თუმცა, რადგან ეს არის ინგლისურენოვანი პროგრამა განსხვავებულია პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და კანონის მიხედვით ხდება ჩარიცხვა, როგორც ქართულენოვანი ისე საქართველოს მოქალაქეობის არ მქონე პირებისათვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, ჰქონდა თუ არა დაწესებულებას განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბერიძემ, აღნიშნა, რომ მინიმალურ ზღვარს წარმოადგენდა - 75% ან მეტი.

საბჭო გადავიდა მერვე საკითხის განხილვაზე („პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა)

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან ბერიძემ, აღნიშნა, რომ პროგრამაში მოხდა აკადემიური პერსონალის ცვლილება, ასევე პროგრამაში გათვალისწინებულია გარე შემფასებლების რჩევები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ საბჭოს გააცნო დასკვნაში დაფიქსირებული რეკომენდაცია:

1. სასურველია, სილაბუსში „ნერვული სისტემის თანდაყოლილი და შეძენილი პათოლოგიები ბავშვებში სარეაბილიტაციო მულტიდისციპლინური მიდგომები“ - სწავლის შედეგებში ამოღებული იქნას შედეგი „...შეუძლია აირჩიოს სწორი და ადეკვატური მიმართულებები რეაბილიტაციურ და ოკუპაციურ თერაპიაში“, რადგანაც ეს კურსი არ გადის აღნიშნულ შედეგზე, მაგრამ ყველა სხვა შედეგი მიღწევადია და გადის პროგრამის სწავლის შედეგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

„პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ირმა მანჯავიძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების წარმომადგენლებმა განიხილეს ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცია და გაითვალისწინეს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 17:10

დასრულების დრო: 17:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

- შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
- მიჩნეულ იქნეს, რომ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:
შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვან საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
მიჩნეულ იქნეს, რომ „ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის“ ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი
კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

- შეწყდეს სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;

- მიჩნეულ იქნეს, რომ „პედიატრიული რეაბილიტაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეცხრე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 01 აპრილის N86 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -6
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	06, სამართლის ბაკალავრი
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქუჩა N1

მეათე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 18 აპრილის N100 გადაწყვეტილებით
5		სამართალი

	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	
6	უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	06, სამართლის მაგისტრი
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქუჩა N1

მეთერთმეტე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა;

№	ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სამართალი
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	2019 წლის 18 აპრილის N100 გადაწყვეტილებით
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	სამართალი
6	უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	მე -7
9	კვალიფიკაციის დასახელება	სამართლის დოქტორო
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0421 სამართალი
12		06, სამართლის დოქტორი

	კვალიფიკაციის დასახელება და კოდი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №120/ნ ბრძანების მიხედვით	
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	60
15	განხორციელების ადგილი	საქართველო, ქ. თბილისი, 0102, პაატა სააკაძის ქუჩა N1

√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

√ დიახ

თვითაცილება განაცხადა - გურანდა ჭელიძემ.

თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.

საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

ვინაიდან შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებაში მონაწილეობას იღებდა ერთი და იგივე ექსპერტთა ჯგუფი, საბჭომ გადაწყვიტა სამივე საკითხი განეხილა ერთი შესვენების ფარგლებში

მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საკითხის ზეპირი მოსმენა (სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამა)

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი მახარობლიშვილმა, განაცხადა, რომ მიუხედავად სამ საკითხად ჩაშლისა, არაგეგმიური მონიტორინგის მიზანი იყო პროგრამების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა. შესაფასებლად წარმოდგენილ იქნა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები, რომელთა მიმართებით შემოწმდა პირველი, მეორე და მეოთხე სტანდარტი. ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტები უკავშირდებოდა პროგრამას, მის სილაბუსებსა და სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმებს, ასევე, აკადემიური/მოწვეული პერსონალის დოკუმენტებს, შესაბამისად არ შესრულებულა სრულფასოვანი, სააკრედიტაციო ვიზიტი და დასკვნა წარმოდგენილია მხოლოდ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე. ექსპერტთა ჯგუფის დასკვნით სამივე პროგრამა შესაბამისობაშია „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“, ითვალისწინებს სამართლის დარგობრივი სტანდარტის მოთხოვნებს. რეკომენდაციები არ გაცემულა სამაგისტრო/სადოქტორო პროგრამებთან მიმართებით, საბაკალავრო პროგრამაში 2.3 კომპონენტში გაცემულია შემდეგი რეკომენდაცია:

მიზანშეწონილია, რომ გადაიხედოს სასწავლო კურსების „საოფისე კომპიუტერული პროგრამები“, „საჯარო გამოსვლის პრეზენტაციების უნარები“, „ინტელექტუალური“ სავალდებულო ლიტერატურა ან/და მათზე დაშვების წინაპირობები. ასევე, მიზანშეწონილია, რომ სასწავლო კურსი „ეკონომიქსი იურისტებისათვის“ მიზნებისა და შედეგების შესაბამისობის კუთხით, გადახედილ იქნეს. აღნიშნული რეკომენდაცია არ უშლის ხელს პროგრამის შესაბამისობას, თუმცა ვინაიდან ექსპერტთა ჯგუფმა ყველა სილაბუსი ნახა, გაიცა აღნიშნული რეკომენდაციაც.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დიანა მჭედლიშვილმა, განაცხადა, რომ, როგორც დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციაში განმარტა, აღნიშნული რჩევა/რეკომენდაცია ძალიან მარტივად შესასრულებელია და რა თქმა უნდა მიმართულია პროგრამის კიდევ უფრო დახვეწისკენ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:00
დასრულების დრო: 18:20

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

- შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
- მიჩნეულ იქნეს, რომ „სამართლის“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

- შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
- მიჩნეულ იქნეს, რომ „სამართლის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

აკრედიტაციის საბჭოს მიერ შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:
√ აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის საკითხი

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25 -ე პუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლია იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების

შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტირუს 2011 წლის 01 ივნისი N233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად:

- შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებულ არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება;
- მიჩნეულ იქნეს, რომ „სამართლის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

დღის წესრიგით განსაზღვრული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დახურულად გამოცხადდა 2022 წლის 12 ივლისს 18:30 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ბუჩაშვილი გოდერძი

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით